საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის
XV საერთაშორისო კონფერენცია

მ ე ო რ ე შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XV საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2025 წლის 1 - 6 სექტემბერს ქ. ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენცია ჩატარდება შერეული ფორმატით.

კონფერენციის სექციები და თანათავმჯდომარეები:

- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა **(ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ტარიელაძე, ომარ ფურთუხია);**
- ალგებრა და რიცხვთა თეორია **(ემზარ ხმალაძე, თეიმურაზ ფირაშვილი, ქეთევან შავგულიძე);**
- გეომეტრია და ტოპოლოგია **(მალხაზ ბაკურაძე, ვლადიმერ ბალაძე, გიორგი ხიმშიაშვილი);**
- დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები და მათი გამოყენებები **(ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჭკადუა);**
- ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი **(ბესიკ დუნდუა, მიხეილ რუხაია, კონსტანტინე ფხაკაძე);**
- მათემატიკური განათლება და მათემატიკის ისტორია **(გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე);**
- მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული მათემატიკა **(ალექსი კირთაძე, როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი);**
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი **(ჰამლეტ მელაძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ ჯანგველაძე);**
- თეორიული ფიზიკა **(ალექსანდრე კვინიხიძე);**
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი **(ლაშა ეფრემიძე, გიორგი ონიანი, გიორგი ტეფნაძე).**

თემატური მინი-სიმპოზიუმები: მონაწილეებმა, რომელთაც სურთ თემატური მინი-სიმპოზიუმების ორგანიზება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი ელექტრონული ფოსტით **2025 წლის 15 ივნისამდე** შემდეგ მისამართზე: conferences.gmu@gmail.com.
მინი-სიმპოზიუმის ორგანიზებისათვის აუცილებელია არანაკლებ 5 მომხსენებლის მონაწილეობა.

რეგისტრაცია და თეზისის წარდგენა: ეწვიეთ კონფერენციის ვებგვერდს http://gmu.gtu.ge/conferences/ და გაიარეთ რეგისტრაციის საწყისი ეტაპი. ატვირთეთ თქვენი თეზისის LaTex და pdf ვერსიები **2025 წლის 15 ივლისამდე.**

დაგეგმილია კონფერენციის მასალების გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალში"Journal of Mathematical Sciences" (Springer, https://www.springer.com/journal/10958), რომელიც ინდექსირებულია Scopus - ბაზაში. სტატიები შეირჩევა შეზღუდული რაოდენობით შესაბამისი სექციების თავმჯდომარეების მიერ და დაიბეჭდება სტანდარტული რეცენზირების პროცესის გავლის შემდეგ.

დაგვიანებით წარმოდგენილი თეზისი არ გამოქვეყნდება თეზისების კრებულში. თეზისი უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს LaTex ფორმატში, განახლებული შაბლონის მიხედვით.
სხვა ფორმატში გამოგზავნილი თეზისი სამეცნიერო კომიტეტის მიერ არ განიხილება. თითოეული თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონში მითითებული წესები. განახლებული შაბლონის ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებგვერდიდან. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია მოხსენების სათაურის ქართული ვერსიის მითითება რეგისტრაციის დროს.
შენიშვნა: რეგისტრაცია ჩაითვლება დასრულებულად და კონფერენციის მონაწილის თეზისი გამოქვეყნდება თეზისების კრებულში სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოხსენების პროგრამაში ჩართვის დადასტურებისა და სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდეგ.

საკონფერენციო გადასახადი:

- საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრებისათვის 130 ლარი (მოიცავს საწევრო გადასახადს).
- სტუდენტებისათვის (ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი) – 40 ლარი.
- ყველა დანარჩენი მონაწილისათვის – 150 ლარი.

შენიშვნა: სტუდენტები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გათავისუფლდებიან სარეგისტრაციო გადასახადისაგან (საორგანიზაციო კომიტეტში მათი მომართვის საფუძველზე).

სარეგისტრაციო გადასახადი მოიცავს	სამეცნიერო სექციებზე დასწრებას
	თეზისების ჩართვას კრებულში (გამოქვეყნდება ელექტრონული ფორმით)
	საკონფერენციო მასალებს (პროგრამა და სხვ.)
	კონფერენციაში მონაწილეობის /დასწრების სერტიფიკატს
	ყავის შესვენებებს

მნიშვნელოვანი თარიღები:

15 ივნისი, 2025 - მინი-სიმპოზიუმების ორგანიზებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა;
15 ივლისი, 2025 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა;
20 ივლისი, 2025 - მოხსენებების მიღების დადასტურება;
31 ივლისი, 2025 - საკონფერენციო გადასახადის გადახდის ბოლო ვადა იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც სურთ თეზისების ჩართვა თეზისების კრებულში.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი,
კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორი ალექსანდრე მესხი

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის თანათავმჯდომარეები
პროფესორი ანზორ ბერიძე,
პროფესორი დავით ნატროშვილი